

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის

კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა

და ცირკულარული მიგრაციის შესახებ

საქართველოს მთავრობა

და

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა,

შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი,

დარწმუნებულნი არიან რა, რომ მიგრაციული ნაკადები ხელს უწყობს ხალხების დაახლოებას და რომ ამ პროცესის შეთანხმებული მართვა ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია;

განზრახული აქვთ რა ყოველნაირად შეუწყონ ხელი მობილურობაზე დაფუძნებულ დროებით შრომით მიგრაციას და საქართველოში კომპეტენტური სპეციალისტების დაბრუნების წახალისებას;

ითვალისწინებენ რა ერთობლივ დეკლარაციას ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2009 წ. 30 ნოემბერს ბრიუსელში ხელმოწერილ შეთანხმებაზე „პარტნიორობა მობილურობისათვის“, რომელიც ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებულ მიგრაციისადმი გლობალური მიდგომის ჩარჩოებს შეესაბამება;

ითვალისწინებენ რა ორ ქვეყანას შორის არსებულ ისტორიულ მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას;

იცავენ რა თავიანთ სახელმწიფოებში მოქმედი კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ უფლებებსა და გარანტიებს, რომელთანაც ისინი არიან მიერთებული;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 - საცხოვრებლად დაშვება

1.1 - სტუდენტები

ერთწლიანი დროებითი ბინადრობის მოწმობა გაიცემა საქართველოს მოქალაქეზე, რომელმაც კალენდარული წლის განმავლობაში წარმატებით დაასრულა სასწავლო ციკლი სახელმწიფო დონეზე უფლებამოსილ საფრანგეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში საფრანგეთის რომელიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებულია შეთანხმებით დიპლომის გაცემის თაობაზე, მიიღო სულ მცირე მაგისტრის დიპლომის ან პროფესიული განათლების დიპლომის ექვივალენტური დიპლომი და სურს თავისი განათლება სრულჰყოს საფრანგეთში პირველი პროფესიული გამოცდილების მიღებით მომავალში საქართველოში დაბრუნების პერსპექტივით.

აღნიშნული დროებითი ბინადრობის მოწმობის მოქმედების პერიოდში მისი მფლობელი უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მოიძიოს და თუ შემთხვევა მოიტანს შეასრულოს მისი განათლების შესაბამისი სამუშაო.

პირველ აბზაცში მითითებული ერთწლიანი ვადის ამოწურვისას, თუ დაინტერესებულ პირს აქვს სამსახური ან ისეთ სამსახურში დასაქმების დაპირება, რომელიც მე-2 აბზაცში ჩამოყალიბებულ პირობებს აკმაყოფილებს, ის უფლებამოსილია დარჩეს საფრანგეთში პროფესიული საქმიანობის გასაგრძელებლად, შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის მიუხედავად.

1.2 - იმიგრაცია პროფესიული მიზეზით

1.2.1 - საფრანგეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთწლიანი დროებითი ბინადრობის მოწმობა განახლების უფლებით, რომელშიც მოცემულია მინიშნება "დაქირავებული", გაიცემა საქართველოს მოქალაქეზე, რათა მან შეძლოს დასაქმება ამ შეთანხმების N° I დანართში მითითებული ერთ-ერთი პროფესიით, საფრანგეთის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ვიზირებული შრომითი ხელშეკრულების წარდგენის შემდეგ, შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის მიუხედავად.

პროფესიების ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს ამ შეთანხმების მე-2 მუხლში მითითებული ორივე მხარის კომპეტენტურ სამთავრობო ორგანოებს შორის წერილების გაცვლის გზით.

საფრანგეთში დაინტერესებული პირების მიღებისა და პროფესიული დასაქმების გამარტივების მიზნით ამ მუხლის პირველ აბზაცში მითითებული დროებითი ბინადრობის მოწმობების რაოდენობა, რომელიც საფრანგეთმა საქართველოს მოქალაქეებზე შეიძლება გასცეს ყოველწლიურად, ხუთასს არ უნდა აღემატებოდეს.

1.2.2 - ორივე მხარე თანხმდება გაცვალოს ერთმანეთში 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც უკვე ჩართულნი არიან ან იწყებენ აქტიურ ცხოვრებას და რომლებიც მიემგზავრებიან მეორე მხარის ტერიტორიაზე საკუთარი კარიერის

პერსპექტივების გასაუმჯობესებლად ისეთ საწარმოში ანაზღაურებადი შრომითი გამოცდილების მიღების გზით, რომელიც ეწევა სანიტარულ, სოციალურ, სასოფლო-სამეურნეო, ხელოსნურ, სამრეწველო, საგაჭრო ან თავისუფალ საქმიანობას ან საქმიანობას მომსახურების სფეროში და თავიანთი ცოდნის გასაღრმავებლად მიმღები საზოგადოების შესახებ.

ეს ახალგაზრდა სპეციალისტები უფლებამოსილი არიან დასაქმდნენ წინამდებარე პარაგრაფით განსაზღვრულ პირობებში, შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის მიუხედავად. იმ პროფესიების შემთხვევაში, რომლებიც სპეციალურ ნებართვას საჭიროებენ, ახალგაზრდა სპეციალისტებზე ვრცელდება მიმღები სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პირობები.

ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ შეთავაზებული სამსახურისათვის საჭირო კვალიფიკაციის შესაბამისი დიპლომი ან პროფესიული გამოცდილება აღნიშნულ სფეროში.

ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტებისთვის მუშაობის საწყისი ნებადართული ვადა მერყეობს ექვსიდან თორმეტ თვემდე და შეიძლება გაგრძელდეს ექვსი თვით. მთლიანობაში ბინადრობის ხანგრძლივობა თვრამეტ თვეს არ უნდა აღემატებოდეს. ამისათვის ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტები, საფრანგეთში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საფრანგეთის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ვიზირებული შრომის ხელშეკრულების წარდგენის საფუძველზე მიიღებენ დროებითი ბინადრობის მოწმობას ექვსიდან თორმეტ თვემდე ვადით. ამ ბინადრობის მოწმობის მოქმედების პერიოდში მისი მფლობელი უფლებამოსილია იცხოვროს საფრანგეთის რესპუბლიკაში და იმუშაოს შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოზე. ამ პერიოდის ამოწურვის შემდეგ მას შეუძლია იმავე პირობებში მოიპოვოს ბინადრობის მოწმობის განახლება შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით.

თავის მხრივ, ახალგაზრდა ფრანგი სპეციალისტები შრომითი ხელშეკრულების წარდგენის საფუძველზე მიიღებენ დროებითი ბინადრობის მოწმობას ექვსიდან თორმეტ თვემდე ვადით. ამ პერიოდის განმავლობაში მათ აქვთ საქართველოში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება თავიანთი შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში. ბინადრობის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, შრომითი ხელშეკრულების გაგრძელების შემთხვევაში მათ შეუძლიათ განაახლონ ბინადრობის მოწმობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წინამდებარე შეთანხმების მე-2 მუხლში მითითებული კომპეტენტური სამთავრობო ორგანოები ვალდებულია იღებენ, რათა წინა აბზაცებში ხსენებული ბინადრობის მოწმობები უმოკლეს ვადაში გაიცეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოების მიერ და შესაძლო სირთულეები რაც შეიძლება სწრაფად იქნას მოგვარებული.

ორივე მხარის მიერ დაშვებული ფრანგი და ქართველი ახალგაზრდა სპეციალისტების რაოდენობა წელიწადში ასორმოდათს არ უნდა აღემატებოდეს.

მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად ახალგაზრდა სპეციალისტები მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეების თანასწორნი არიან ყველა იმ საკითხში, რომელიც ეხება შრომითი ურთიერთობების და პირობების, სოციალური დაცვის, ჯანდაცვის, ჰიგიენისა და შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონების, წესდებებისა და დამკვიდრებული წესების შესრულებას.

დამქირავებლისგან ისინი ღებულობენ ხელფასს, რომელიც სულ მცირე იმავე პირობებში მომუშავე მიმღები სახელმწიფოს მოქალაქის ხელფასის ექვივალენტურია.

ამ მუხლის განხორციელების პრაქტიკული პირობები ჩამოყალიბებულია შეთანხმების დანართში II.

1.2.3 - მუხლებში 1.2.1 და 1.2.2. მოცემული ზღვრული კონტიგენტის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება მომდევნო წლისთვის მიიღება მე-2 მუხლში მითითებული ორივე მხარის კომპეტენტურ სამთავრობო ორგანოებს შორის წერილების გაცვლის გზით, მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე.

1.2.4 - საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც არ შეუძლიათ პარაგრაფებით 1.2.1. და 1.2.2. გათვალისწინებული დებულებებით სარგებლობა მხოლოდ ამ პარაგრაფებში მითითებული რიცხობრივი ზღვრის გადაჭარბების გამო, შეეძლებათ ისარგებლონ საფრანგეთის კანონმდებლობის დებულებებით პროფესიული იმიგრაციის შესახებ.

1.2.5 - საფრანგეთის მოქალაქეებს, რომელთაც არ შეუძლიათ პარაგრაფებით 1.2.1. და 1.2.2. გათვალისწინებული დებულებებით სარგებლობა მხოლოდ ამ პარაგრაფებში მითითებული რიცხობრივი ზღვრის გადაჭარბების გამო, შეეძლებათ ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობის დებულებებით.

1.2.6 - საფრანგეთის მხარე ვალდებულია იღებს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში გაამარტივოს დროებითი ბინადრობის მოწმობის გაცემა საქართველოს იმ მოქალაქეებზე, რომელთაც უნარი შესწევთ თავიანთი კომპეტენციითა და ნიჭით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საფრანგეთის რესპუბლიკის ეკონომიკის, კერძოდ ინტელექტუალური, საუნივერსიტეტო, სამეცნიერო, კულტურული, ჰუმანიტარული და სპორტული სფეროების განვითარებაში და ასევე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, საქართველოს განვითარებაში. საფრანგეთის რესპუბლიკაში მიღებულმა გამოცდილებამ სარგებლობა უნდა მოიტანოს მათი შინ დაბრუნებისას, კერძოდ საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნისათვის საწარმოების დაარსების პერსპექტივაში.

მუხლი 2 - კომპეტენტური სამთავრობო ორგანოები

2.1 - წინამდებარე შეთანხმების შესრულებაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური სამთავრობო ორგანოებია :

- საფრანგეთის მხარე: იმიგრაციის სამინისტრო;
- საქართველოს მხარე: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

2.2 - მხარეები ერთიმეორეს ინფორმაციას აწვდიან იმ ადმინისტრაციაზე ან ორგანიზაციაზე, რომელსაც მათ სახელმწიფოში წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესრულება დაეკისრება.

მუხლი 3 - სამეთვალყურეო კომიტეტი

მხარეები დებულობენ გადაწყვეტილებას ამ შეთანხმების შესრულების მიზნით სამეთვალყურეო კომიტეტის შექმნის თაობაზე, რომლის შემადგენლობაში შევლენ ორივე მხარის ადმინისტრაციათა წარმომადგენლები. კომიტეტი შეიკრიბება წელიწადში ერთხელ, კომიტეტის მიზნებია:

- ამ შეთანხმებაში ჩამოყალიბებული დებულებების შედეგების შეფასება;
- ორ სახელმწიფოს შორის შეთანხმებით მოსარგებლეთა ნაკადებზე დაკვირვება;
- შეთანხმების შედეგების გაუმჯობესებისკენ მიმართული წინადადებების შემუშავება.

მუხლი 4 - მოქმედების სფერო

ამ შეთანხმების დებულებები ვრცელდება საფრანგეთის რესპუბლიკის ევროპული და ზღვის გადაღმა დეპარტამენტების ტერიტორიაზე და საქართველოს ტერიტორიაზე.

მუხლი 5 - დასკვნითი დებულებები

5.1 - წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის თითოეული მხარის მიერ ამ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი კონსტიტუციური და სამართლებრივი პროცედურების შესრულების შესახებ დიპლომატიური არხებით უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღის მომდევნო მეორე თვის პირველ დღეს.

5.2 - შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით.


5.3 - წინამდებარე შეთანხმება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ცვლილებები ძალაში შედის პარაგრაფი 5.1 ში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.


5.4 - შეთანხმება შეიძლება შეწყვიტოს რომელიმე მხარემ, სამი თვით ადრე დიპლომატიური არხებით წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. შეთანხმების შეწყვეტა ექვემდებარება არ აყენებს ამ შეთანხმების შესრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები ამის თაობაზე ურთიერთშეთანხმებით სხვა გადაწყვეტილებას დებულობენ.

5.5 - ამ შეთანხმების განმარტებასა და შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები მხარეთა შორის მოგვარდება მე-3 მუხლში მითითებული სამეთვალყურეო კომიტეტის მიერ, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, დიპლომატიური გზით.

რის საფუძველზეც, მხარეთა მიერ სათანადო უფლებამოსილებებით აღჭურვილმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე შეთანხმებას.

შესრულებულია 2013 წლის 12 ნოემბერს, ქ. ზაჩივში, ორ დედნად, ქართულ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტიურია.


საქართველოს
მთავრობის სახელით


საფრანგეთის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

დანართი I

საქართველოს მოქალაქეებისათვის დაშვებული 50 პროფესიის სია

სპეციალობები პროფესიული სფეროების მიხედვით	
მშენებლობა და საზოგადოებრივი სამუშაოები	
	მხურავი
	სადურგლო საკეტების დამმონტაჟებელი (დურგალი, ზეინკალი)
	სამშენებლო კომპლექსის მხაზველი
	ტოპოგრაფი
	სამშენებლო კომპლექსის ტექნიკურ შესწავლაზე პასუხისმგებელი პირი/მასწავლებელი/
	სამშენებლო კომპლექსის ობიექტის მმართველი
	სამშენებლო კომპლექსის სამუშაოთა მწარმოებელი
სასტუმროების, რესტორნების მეურნეობა, კვება	
	მზარეული
	რესტორნების მრავალპროფილიანი თანამშრომელი
	რესტორნის ოფიციანტი
	ხორცის პროდუქტების დამამზადებელი (ყასაბი)
მექანიკა, ლითონდამუშავება	
	მეთუნე-მგლინავი
	დაზგების და ჩარხების ოპერატორ-ამწყობი
	ზეინკალ-მექანიკოსი
	სამშენებლო ობიექტის ხელსაწყოების, ამწე-სატრანსპორტო მექანიზმებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მექანიკოსი
	მანქანათმშენებლობის მხაზველ-დამპროექტებელი
	მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მხაზველი
	მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების ტექნიკოსი
	მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების კვალიფიციური ტექნიკოსი
	ლიფტების (და სხვა მექანიკური სისტემების) მემონტაჟე-შემკეთებელი
ელექტრომრეწველობა, ელექტრონიკა	
	ელექტრო და ელექტროტექნიკური მასალის ელექტროტექნიკოსი
	ელექტრობისა და ელექტრონიკის მხაზველ-დამპროექტებელი
	ელექტრობისა და ელექტრონიკის მხაზველი
	ელექტრობისა და ელექტრონიკის ხარისხის, შემოწმებისა და კონტროლის სპეციალისტი
ტექნიკური უზრუნველყოფა	
	უზრუნველყოფის ელექტრიკოსი

	უზრუნველყოფის მრავალპროფილიანი მუშა
	სამრეწველო და პროფესიული დანადგარების დამმონტაჟებელი
	ავტომატიზებული სისტემების ამწეობი და გამართული მუშაობის უზრუნველყოფის სპეციალისტი
	ნორმებთან შესაბამისობის ინსპექტორი
	გათბობის, კოდინგირებისა და მაცივრების სისტემების უზრუნველყოფის სპეციალისტი
	უზრუნველყოფის სპეციალისტი ელექტრონიკაში
ტრანსპორტი, ლოჯისტიკა, ტურიზმი	
	დარგის დაგეგმვის, ორგანიზებისა და მეთოდების სპეციალისტი
გადამამუშავებელი მრეწველობა	
	მინის ჩამოსხმის (დამუშავების) ოპერატორი
	ცემენტის საწარმოს მშენებლობის კოორდინატორი
	გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის სპეციალისტი
დრეკადი მასალები, ხის დამუშავება, გრაფიკული მრეწველობა (მსუბუქი მრეწველობა)	
	ავეჯისა და ხის ნაწარმის (და მსგავსი მასალის) დამამზადებელი მანქანების ოპერატორი
	ხის და მსგავსი მასალების დამამზადებელი (სერიული წარმოება)
	ავეჯისა და ხის მრეწველობის სპეციალისტი
საწარმოთა მართვა-აღმინისტრირება	
	საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალისტი
	აუდიტისა და ფინანსური და სააღრიცხვო კონტროლის სპეციალისტი
ინფორმატიკა	
	გამოყენებითი ინფორმატიკის სპეციალისტი
	კვლევის პროგრამისტი (მათ შორის, პროექტის ხელმძღვანელი)
	პროგრამისტ-ექსპერტი
ბანკი და დაზღვევა	
	სადაზღვევო საქმის პასუხისმგებელი
ვაჭრობა	
	დისტანციური გაყიდვების სპეციალისტი
	პროფესიული აღჭურვილობის სავაჭრო ატაშე
	შუალედური ქონებისა და ნედლეულის სავაჭრო ატაშე
	საწარმოებთან არსებული სამსახურების სავაჭრო ატაშე
	ტექნიკური მაჩვენებლებით საქონლის წარმომჩენი სპეციალისტი (გაყიდვის პუნქტებისა და განყოფილებების შერჩევა)
	ტექნიკურ-კომერციული ინჟინერი

ახალგაზრდა სპეციალისტების გაცვლისას
გამოსაყენებელი პრაქტიკული დებულებები

ახალგაზრდა სპეციალისტებმა, რომელთაც სურთ ამ დებულებებით სარგებლობა, უნდა მიმართონ ადმინისტრაციას ან ორგანიზმს, რომელსაც მათ სახელმწიფოში ახალგაზრდა სპეციალისტთა თხოვნების თავმოყრა და წარდგენა ევალება.

ახალგაზრდა სპეციალისტებმა თხოვნას უნდა დაურთონ ყველა საჭირო ინფორმაცია დიპლომის ან პროფესიული გამოცდილების შესახებ, ასევე დაასახელონ საწარმო, რომელში მუშაობის ნებართვის მიღებაც სურთ.

აღნიშნული ადმინისტრაციას ან ორგანიზაციას ევალება ამ თხოვნის განხილვა და გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში მისი გადაცემა მეორე სახელმწიფოს შესაბამისი ადმინისტრაციისათვის ან ორგანიზაციისათვის დადგენილი წლიური კონტიგენტის გათვალისწინებით. ამ ადმინისტრაციებმა ან ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ თხოვნები დროულად იქნას განხილული.

ამას გარდა, კანდიდატებისათვის სამუშაოს მოძიების გამარტივების მიზნით, ეს ადმინისტრაციები ან ორგანიზმები კანდიდატებს აძლევენ დამქირავებლის მოსამუშევრად აუცილებელ დოკუმენტაციას და ღებულობენ ყველა საჭირო ზომას, რათა საწარმოებს გააცნონ ახალგაზრდა სპეციალისტების გაცვლით შეთავაზებული შესაძლებლობები. დაინტერესებულ პირებს ასევე მიეწოდება ინფორმაცია მიმდებ სახელმწიფოში ცხოვრებისა და მუშაობის პირობების შესახებ.

ACCORD

ENTRE

LE GOUVERNEMENT DE LA GEORGIE

ET

LE GOUVERNEMENT DE LA REPUBLIQUE
FRANÇAISE

RELATIF

AU SEJOUR ET A LA MIGRATION CIRCULAIRE

DE PROFESSIONNELS

Le Gouvernement de la Géorgie

et

Le Gouvernement de la République française

ci-après dénommés les Parties,

Convaincus que les flux migratoires contribuent au rapprochement entre les peuples et que leur gestion concertée constitue un facteur de développement économique, social et culturel pour les pays concernés ;

Résolus à tout mettre en œuvre pour encourager une migration professionnelle temporaire fondée sur la mobilité et l'incitation à un retour des compétences en Géorgie ;

Considérant la déclaration commune sur un Accord de partenariat pour la mobilité entre l'Union européenne et la Géorgie signée le 30 novembre 2009 à Bruxelles, qui s'inscrit dans le cadre de l'approche globale sur la migration adoptée par le Conseil de l'Union européenne ;

Considérant les liens historiques d'amitié et de coopération qui unissent les deux pays ;

Dans le respect des droits et garanties prévus par leurs législations respectives et par les traités et conventions internationales auxquels ils sont Parties;

Conviennt de ce qui suit :

Article 1 - Admission au séjour

1.1 - Etudiants

Un titre de séjour temporaire d'une durée de validité de douze mois est délivrée au ressortissant géorgien qui vient d'achever avec succès au cours de l'année civile, dans un établissement d'enseignement supérieur français habilité au plan national ou dans un établissement d'enseignement supérieur géorgien lié à un établissement d'enseignement supérieur français par une convention de délivrance de diplôme en partenariat international, un cycle de formation conduisant à un diplôme au moins de niveau équivalent au master ou à la licence professionnelle, souhaite compléter sa formation par une première expérience professionnelle en République française dans la perspective de son retour en Géorgie.

Pendant la durée de validité de ce titre de séjour, son titulaire est autorisé, dans le cadre de la législation en vigueur, à chercher et, le cas échéant, à exercer un emploi en relation avec sa formation.

A l'issue de la période de douze mois mentionnée au premier alinéa, si l'intéressé est pourvu d'un emploi ou est titulaire d'une promesse d'embauche satisfaisant aux conditions énoncées au deuxième alinéa, il est autorisé à poursuivre son séjour en République française pour l'exercice de son activité professionnelle, sans que soit prise en considération la situation de l'emploi.

1.2 - Immigration pour motifs professionnels

1.2.1 - Un titre de séjour temporaire portant la mention « salarié » d'une durée d'un an renouvelable, prévu par la réglementation française, est délivré à un ressortissant géorgien en vue de l'exercice de l'un des métiers énumérés en annexe I au présent Accord sur présentation d'un contrat de travail visé par l'autorité française compétente sans que soit prise en compte la situation de l'emploi.

Cette liste de métiers peut être modifiée par échange de lettres entre les autorités gouvernementales compétentes des deux Parties visées à l'article 2 du présent Accord.

Pour faciliter l'accueil et l'insertion professionnelle des intéressés en France, le nombre de titres de séjour temporaires mentionnés au premier alinéa du présent paragraphe susceptibles d'être délivrés chaque année par la République française à des ressortissants géorgiens est limité à cinq cents.

1.2.2 - Les deux Parties conviennent de développer entre elles des échanges de jeunes professionnels français et géorgiens, âgés de dix-huit à trente-cinq ans, déjà engagés ou

entrant dans la vie active qui se rendent sur le territoire de l'autre Partie pour améliorer leurs perspectives de carrière grâce à une expérience de travail salarié dans une entreprise qui exerce une activité de nature sanitaire, sociale, agricole, artisanale, industrielle, commerciale ou libérale ou dans une entreprise de services et approfondir leurs connaissances de la société d'accueil.

Ces jeunes professionnels sont autorisés à occuper un emploi dans les conditions prévues au présent paragraphe sans que soit prise en considération la situation de l'emploi. Dans le cas de professions réglementées, les jeunes professionnels sont soumis aux conditions d'exercice définies par l'Etat d'accueil.

Ils doivent être titulaires d'un diplôme correspondant à la qualification requise pour l'emploi offert ou posséder une expérience professionnelle dans le domaine d'activité concerné.

Pour ce qui concerne les jeunes professionnels géorgiens, la durée initiale autorisée de travail varie de six à douze mois et peut faire l'objet de prolongations, la durée totale de séjour ne devant pas excéder dix-huit mois. A cet effet, les jeunes professionnels géorgiens reçoivent, dans le cadre de la législation en vigueur, un titre de séjour temporaire d'une durée de six à douze mois sur présentation d'un contrat de travail visé par l'autorité compétente. Pendant la période de validité de ce titre de séjour, son titulaire est autorisé à séjourner en République française et à y exercer l'activité professionnelle prévue par son contrat de travail. A l'issue de cette période, il peut obtenir, dans les mêmes conditions, le renouvellement de son titre de séjour pour une durée équivalente à celle prévue pour la prolongation de son contrat de travail.

De leur côté, les jeunes professionnels français obtiennent un titre de séjour temporaire d'une durée de six à douze mois sur présentation d'un contrat de travail. Pendant cette durée, ils sont autorisés à séjourner et à travailler en Géorgie dans le cadre de leur contrat de travail. Avant l'échéance de leur titre de séjour, en cas de prolongation de leur contrat de travail, ils se voient renouveler leur titre de séjour conformément à la législation en vigueur en Géorgie.

Les autorités gouvernementales désignées à l'article 2 du présent Accord font tout leur possible afin que les titres de séjour visés aux alinéas précédents soient délivrés dans les meilleurs délais par les autorités administratives compétentes et pour que les difficultés qui pourraient éventuellement surgir soient réglées le plus rapidement possible.

Le nombre des jeunes professionnels français et géorgiens admis de part et d'autre ne doit pas dépasser cent cinquante par an.

Les jeunes professionnels bénéficient de l'égalité de traitement avec les ressortissants de l'Etat d'accueil conformément à la législation de l'Etat d'accueil et aux traités internationaux, pour tout ce qui concerne l'application des lois, règlements et usages régissant les relations et conditions de travail, la protection sociale, la santé, l'hygiène et la sécurité au travail.

Ils reçoivent de leur employeur un salaire au moins équivalent à celui versé aux ressortissants de l'Etat d'accueil travaillant dans les mêmes conditions.

Les modalités pratiques de mise en œuvre de cet article figurent en annexe II du présent Accord.

1.2.3 - Toute modification des contingents fixés aux paragraphes 1.2.1 et 1.2.2 peut être décidée, pour l'année suivante, par simple échange de lettres entre les autorités gouvernementales compétentes des deux Parties, visées à l'article 2, avant le 1^{er} décembre de l'année en cours.

1.2.4 - Les ressortissants géorgiens qui ne pourraient bénéficier des dispositions prévues aux paragraphes 1.2.1 et 1.2.2 pour la seule raison d'un dépassement des limites chiffrées indiquées dans ces paragraphes, pourront toutefois bénéficier des dispositions de la législation française relative à l'immigration professionnelle.

1.2.5 - Les ressortissants français qui ne pourraient bénéficier des dispositions prévues au paragraphe 1.2.2 pour la seule raison d'un dépassement de la limite chiffrée indiquée dans ce paragraphe, pourront toutefois bénéficier des dispositions de la législation géorgienne.

1.2.6 - La Partie française s'engage à faciliter la délivrance d'un titre de séjour temporaire, dans le cadre de la législation en vigueur, aux ressortissants géorgiens susceptibles de participer, du fait de leurs compétences et de leurs talents, de façon significative et durable, au développement économique ou au rayonnement, notamment intellectuel, universitaire, scientifique, culturel, humanitaire ou sportif de la République française et directement ou indirectement, de la Géorgie. L'expérience menée en République française doit être profitable à leur retour, notamment dans la perspective de la création d'entreprises génératrices d'emplois nécessaires en Géorgie.

Article 2 - Autorités gouvernementales compétentes

2.1 - Les autorités gouvernementales compétentes pour la mise en œuvre du présent Accord sont :

- pour la Partie française : le ministère chargé de l'immigration;
- pour la Partie géorgienne: Ministère du Travail, de la Santé et des Affaires Sociales.

2.2 - Les Parties s'informent mutuellement de l'administration ou de l'organisme qu'elles auront désigné dans leur Etat pour mettre en œuvre les dispositions du présent Accord.

Article 3 - Comité de suivi

Les Parties décident de créer un comité de suivi de l'application du présent Accord composé de représentants des administrations des deux Parties. Ce comité se réunit une fois par an. Il est destiné :

- à l'évaluation des résultats des dispositions mentionnées dans le présent accord ;
- à l'observation des flux des bénéficiaires de l'Accord entre les deux Etats ;
- à la formulation de toutes propositions utiles pour en améliorer les effets.

Article 4 - Champ d'application

Les dispositions du présent Accord s'appliquent aux départements européens et d'outre-mer de la République française et au territoire de la Géorgie.

Article 5 - Dispositions finales

5.1 - Le présent Accord entre en vigueur le premier jour du deuxième mois qui suit la date de la dernière notification, par la voie diplomatique, de l'accomplissement par chacune des Parties des procédures constitutionnelles et légales requises pour l'entrée en vigueur du présent Accord.

5.2 - Il est conclu pour une durée indéterminée.


5.3 - Il peut être modifié par accord écrit entre les deux Parties. Les amendements entrent en vigueur selon la procédure prévue au paragraphe 5.1.

5.4 - Il peut être dénoncé, par écrit, par l'une ou l'autre des Parties avec un préavis de trois mois par la voie diplomatique. La dénonciation ne remet pas en cause les droits et obligations des Parties résultant de la mise en œuvre du présent Accord sauf si les Parties en décident autrement d'un commun accord.


5.5 - Les difficultés d'interprétation et d'application du présent accord sont réglées au sein du comité de suivi mentionné à l'article 3 du présent Accord ou, à défaut, par la voie diplomatique entre les Parties.

En foi de quoi les soussignés, dûment autorisés à cet effet, ont signé le présent accord,

Fait à Paris, le 12 Novembre, 2013 en deux exemplaires originaux en langues géorgienne et française, chaque exemplaire faisant également foi.



Pour le Gouvernement
de la Géorgie



Pour le Gouvernement
de la République française

ANNEXE I

LISTE DES 50 METIERS OUVERTS AUX RESSORTISSANTS GEORGIENS

	EMPLOI-METIER par DOMAINE PROFESSIONNEL
BATIMENT ET TRAVAUX PUBLICS	
	Couvreur
	Poseur de fermetures menuisées (menuisier, serrurier)
	Dessinateur du BTP
	Géomètre
	Chargé d'études techniques du BTP
	Chef de chantier du BTP
	Conducteur de travaux du BTP
HOTELLERIE, RESTAURATION ET ALIMENTATION	
	Cuisinier
	Employé polyvalent restauration
	Serveur en restauration
	Préparateur en produits carnés (boucher)
MECANIQUE, TRAVAIL DES METAUX	
	Chaudronnier-tôlier
	Opérateur-régleur sur machine-outil
	Ajusteur mécanicien
	Mécanicien d'engins de chantier, de levage et manutention et de machines agricoles
	Dessinateur-projet construction mécanique
	Dessinateur de la construction mécanique et du travail des métaux
	Technicien de fabrication de la construction mécanique et du travail des métaux
	Technicien qualité de la construction mécanique et du travail des métaux
	Installateur-maintenicien en ascenseurs (et autres système mécaniques)
ELECTRICITE, ELECTRONIQUE	
	Interconnecteur en matériel électrique et électromécanique
	Dessinateur-projeteur en électricité et électronique
	Dessinateur en électricité et électronique
	Technicien de contrôle-essai-qualité en électricité et électronique

MAINTENANCE	
	Electricien de maintenance
	Polymaintenicien
	Technicien d'installation d'équipements industriels et professionnels
	Installateur-maintenicien en systèmes automatisés
	Inspecteur de mise en conformité
	Maintenicien des systèmes thermiques, climatiques et frigorifiques
	Maintenicien en électronique
TRANSPORTS, LOGISTIQUE ET TOURISME	
	Technicien de méthodes-ordonnancement-planification de l'industrie
INDUSTRIES DE PROCESS	
	Opérateur de formage (transformation) du verre
	Pilote d'installation de production cimentière
	Technicien de production des industries de process
MATERIAUX SOUPLES, BOIS, INDUSTRIES GRAPHIQUES (INDUSTRIES LEGERES)	
	Conducteur de machine de fabrication des industries de l'ameublement et du bois (et matériaux associés)
	Façonneur bois et matériaux associés (production de série)
	Technicien des industries de l'ameublement et du bois
GESTION, ADMINISTRATION DES ENTREPRISES	
	Cadre de la comptabilité
	Cadre de l'audit et du contrôle comptable et financier
INFORMATIQUE	
	Informaticien d'exploitation
	Informaticien d'étude (dont chef de projet)
	Informaticien expert
BANQUE ET ASSURANCES	
	Responsable d'exploitation en assurances
COMMERCE	
	Technicien de la vente à distance
	Attaché commercial en biens d'équipements professionnels
	Attaché commercial en biens intermédiaires et matières premières
	Attaché commercial en services auprès des entreprises
	Marchandiseur (conception de points de vente et de rayons)
	Ingénieur d'affaires

MODALITES PRATIQUES APPLICABLES AUX ECHANGES DE JEUNES PROFESSIONNELS

Les jeunes professionnels qui désirent bénéficier de ces dispositions doivent en faire la demande à l'administration ou à l'organisme chargé dans leur Etat de centraliser et de présenter les demandes des jeunes professionnels.

Les jeunes professionnels doivent joindre à leur demande toutes les indications nécessaires sur leurs diplômes ou leur expérience professionnelle et faire connaître également l'entreprise pour laquelle ils sollicitent l'autorisation de travail.

Il appartient à l'un ou à l'autre de l'administration ou de l'organisme désigné d'examiner cette demande et de la transmettre, lorsque les conditions prévues sont remplies, à l'administration ou l'organisme de l'autre Etat, en tenant compte du contingent annuel auquel il a droit. Ces administrations ou organismes font tout leur possible pour assurer l'instruction des demandes dans les meilleurs délais.

Par ailleurs, pour faciliter les recherches d'emploi des candidats, ces administrations ou organismes mettent à la disposition des candidats la documentation nécessaire pour la recherche d'un employeur et prennent toutes dispositions utiles afin de faire connaître aux entreprises les possibilités offertes par les échanges de jeunes professionnels. Des informations sur les conditions de vie et de travail dans l'Etat d'accueil sont également mises à la disposition des intéressés.